



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს პარლამენტის  
ახორციელებული კვლევები

უცნობი ავტორი

წამება და ღუაწლი  
წმიდათა და  
დიდებულთა  
მოწამეთა დავით და  
კოსტანტინესი

უცნობი ავტორი

წამება და ღუაწლი წმიდათა და  
დიდებულთა მოწამეთა დავით და  
კოსტანტინესი

წამებად და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად მიცვალებისა დიდისა მის და მალლისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა, რომელმან მეფობად ყოვლისა ქუეყანისად საფლავად შთაიტანა, უღმრთოდა მის და მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვან აბულ-კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ, რომელი იყო დისწული მუჰმედ

ცუდ-სახელისა მოციქულისად

I. მეფობასა ბერძენთა ზედა ღმრთის მსახურისა [დიდისა] ჰერაკლესსა, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა თვისსა კუერთხითა მეფობისა თვისსადთა, განილაშქრა სპარსთა მეფემან ხუასრო ქალაქსა მას ზედა ღმრთივ-დაცულსა წმიდასა იერუსალიმსა, რომელსა შინა იქმნა კსნად ყოვლისა სოფლისად. მიშუებითა ღმრთისადთა გამოიღო და ტყუე-ყო და მოსრა ერი ურიცხვი მამათა და დედათად, მღდელთა და დიაკონთა და ქალწულთად, ვითარცა წერილ არს წიგნსა მას იერუსალიმისა წარტყუნვისასა, რათა აღესრულოს სიტყუად იგი მაცხოვრისად, ვითარმედ: ”არა დაშთეს ქვად ქვასა ზედა, ვიდრემდის ყოველივე არა დაირღუეს”.

რამეთუ მრავალ-გზის წარიტყუნა იერუსალიმი ბაბილოვნელთა და ჰრომთაგან, და აწ სპარსთაგან. და წარიყვანეს ძელი ცხორებისად, რომელსა ზედა ქრისტემან ჩუენთვს ვნებად თავს იდვა, და ზაქარია, დიდი მამათ- მთავარი, და მიიქცეს სპარსეთადვე. ხოლო იქმნებოდეს სასწაულნი ურიცხუნი ძელისა მისგან ცხორებისა, ვიდრემდის ითქუმოდა სპარსთა შორის, ვითარმედ ღმერთი ქრისტეანეთად მოსრულ არს.

ხოლო უძნდა ესე ღმრთის-მსახურსა მეფესა ბერძენთასა ჰერაკლეს და ბრძანებითა ღმრთისადთა განილაშქრა სპარსთა ზედა და შევიდა ქუეყანასა კომანთასა, რომელ არიან ყივჩაყნი, და მისცა ასული თვისი

ცოლად მეფესა ყივჩაყთასა და წარიყვანა ყოვლითა ძალითა მისითა ძალად თვსად. და შევიდა სპარსეთს და მოკლა ხუასრო, სპარსთა მეფე, და ტყუე-ყო, და აღაოჭრა ქუეყანად სპარსეთისად და წარმოიყვანა ძელი ცხორებისად და ზაქარია მამათ-მთავარი, ძლევა-შემოსილი შემოიქცა იერუსალიმს, და ნაწილი ძელისა ცხორებისად ზოგი იერუსალიმს დაუსუენა, და ზოგი კოსტანტინეპოლეს გაგზავნა. და ზაქარია მამათ-მთავარი საყდარსავე თვსსა დასუა. ხოლო მო-რაჲ-ქცეულ იყო მეფე სპარსეთით ეგვპტეს, მუჰმედ წინა მიეგება მეფესა ჰერაკლეს და უძღუანა ძღუენი დიდი, რამეთუ იყო მდიდარ ფრიად და მთავრობდა არაბთა ზედა და ითხოვდა მეფისაგან ადგილთა საყოფელთა და სასამოვრეთა სამწყსოთა მისთასა. ხოლო მეფემან მისცნა ველნი და მთანი ქუეყანასა სინისასა, რომელ არს მახლობელ არაბეთისა. და შემოიქცა მეფე ქალაქად თვსად და იყო ქუეყანად საბერძნეთისად მშვიდობასა შინა და ჰმორჩილობდეს მას ყოველნი ნათესავნი. ხოლო რაჟამს მოკუდა ჰერაკლე მეფე, მისსა შემდგომად დადგეს მეფენი და პატრიაქნი მწვალებელნი, უღირსნი და ხატთა მბრძოლნი, ვითარცა იტყვს მაქსიმე [აღმსარებელი]: “დამდაბლდეს მეფენი ბერძენთანი და განძლიერდეს სპარსნი და არაბნი მიშუებითა ღმრთისაჲთა”. და განძლიერდა მუჰმედ და მთავრობდა სპარსთა და არაბთა ზედა, და განითვსა ქუეყანად ეგვპტისა და პალესტინისად, რაჟამს იგი იოანე მოწყალემან სივლტოლაჲ ირჩია და მივიდა მამულად თვსად კვპრედ და მუნ მიიცივალა. ხოლო შემდგომად სიკუდილისა მუჰმედ უსჯულოდსა დაუტევა მთავრობად თვისი თვსსავე მსგავსსა უკეთურებითა, მურვან ყრუსა, დისწულსა თვსსა. ხოლო მან უღმრთომან, რაჟამს აღიღო მთავრობად სპარსთა და არაბთაჲ, აღძრა ყოველივე თესლ-ტომი წარმართთაჲ მიშუებითა ღმრთისაჲთა სამხილებელად ცოდვათა ჩუენთა და განილაშქრა ქრისტიანეთა ზედა, ერსა ამას რჩეულსა და საზეპუროსა, და აღაოჭრა და მოსრა და ტყუე-ყო ქუეყანად საბერძნეთისად და სასომხითოდსა ზღუამდე. და მერმე მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისად, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოდსათა და დაფარა პირი ქუეყანისად. რამეთუ

მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა უძრვისათა, რამეთუ იყო ქალაქი იგი სახელოვან ძუელ ნაქმართა მისთათჳს. და ესე აქამომდე.

II. ხოლო აწ არს ჟამი მოკსენებისად წმიდათა და ღუაწლითშემოსილთა მოწამეთა ქრისტესთა დავითისი და კოსტანტინესი, რომელთათჳს არს სიტყუად ესე ჩუენი. ხოლო თქუენ, სამწყსონო ქრისტჳსნო და მოსურნენო აღსრულებად წმიდასა ამას დღესასწაულსა წმიდათა მოწამეთასა, წადიერად მოსრულნო, გულს-მოდგინედ მიუპყრენით გონებანი და სასმენელნი თქუენნი, რათა არა ცალიერნი, არამედ სათნოებათა ტვრთითა აღტვრთულნი წარხვიდეთ სახიდ თქუენდა. ხოლო ვითარცა ვთქუ, განისმა ჰამბავი ამის ქუეყანასა მოსლვისათჳს წარმართთადასა და შეშინებულ და შეძრწუნებულ იქმნეს გულნი კაცთანი. არამედ ვითარცა გვსწავიეს ესე ძუელთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კოსტანტინე ქართველნი, სანახებისაგან არგუეთისა, დიდნი და დიდებულნი ტომობით და მთავარნი ამის ქუეყანისანი და თჳს ეყვოდეს ურთიერთას და იყვნეს განათლებულ ემბაზითა ქადაგებულისა ანდრია და სიმონ კანანელისადათა, რამეთუ მათ უქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის, პირველად ნინოჲს მოსვლისა. ხოლო იყვნეს წმიდანი ესე ქალწულ ჯორცითა და მეცნიერ ძუელისა და ახლისა სჯულისა, ჭემმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა. რამეთუ იყო დავით უხუცეს დლითა, ჰაეროან და სპეტაკ ჯორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და ჳშირ წუერიითა. ხოლო კოსტანტი შუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერ გამო, და ორნივე სავსე სულითა წმიდითა. ხოლო ვითარცა ესმა წმიდათა ამათ მოსლვად წარმართთად ქუეყანასა ამას სამცხით, შეიმოსეს ძალი ღმრთისად, ვითარცა ჯაჭუ-ჭური, და შეკრიბეს ლაშქარი ამის ქუეყანისად და ხადოდეს სახელსა ღმრთისასა და განაძლიერებდეს ერსა მორწმუნეთასა ლოცვითა და ღამის თევითა. ხოლო აღიძრნეს რად წარმართნი სამცხით და წარმოემართნეს ქუეყანად არგუეთად და წინამსრბოლნი და რჩეულნი წარმოვიდეს, მაშინ წმიდანი ესე იყვნეს შეკრებილ და ფრთხილ და გალობდეს გალობასა დავითისასა, რომელ

თქუა რაჟამს- იგი ეწყუებოდა გოლიათს. ხოლო იხილნეს რად წარმართთა წმიდანი ესე, აღიზახეს ვითარცა მკეცთა და მოემართნეს. ხოლო წმიდამან დავით სახელი ქრისტესი ფარად მიუპყრა და განაძლიერა გუნდი თვისი და უშიშ-ყვნა იგინი, აღიზახა ვითარცა ლომმან, და აოტნეს და განაზნინეს იგინი და ურიცხვ მოსრეს, და აღუდგინეს ძლევა დიდი ქრისტეანეთა. მაშინ მეოტნი უკუნიქცენ და უთხრეს მურვან ყრუსა, რად-იგი მოწევნულ იყო მათ ზედა, ვითარმედ წინამბრძოლნი და ლაშქარნი რჩეულნი შენნი მოსრნეს შეშის მსახურთა. ხოლო მან პირსა თვისსა

იკრნა ჯელნი თვისნი და თქუა, ვითარმედ: ”და ვინ არს მკადრე, რომელმცა წინა აღუდგა დიდსა მოციქულსა მუჰმადსა, დედის ძმასა ჩემსა?” ესე თქუა და შეუზახა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა და წარმოემართნეს, ვითარცა ქვამად სიმრავლითა, და მოვიდეს ქუეყანად. არგუეთისა და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცუნი. და შეეწყუდინეს ჯელსა წარმართთასა ერნი ქრისტეანეთანი, რამეთუ რომელნიმე ტყეთა დაიმაღლნეს და რომელნიმე მოსრნეს, ხოლო წმიდანი დავით და კოსტანტინე და სხუანი ვიეთნიმე შემდგომნი მათნი შეპყრობილ იქმნნეს. მაშინ ვითარცა ეუწყა ბილწსა ყრუსა შეპყრობად წმიდათა მათ, აღიტყუელნა ჯელნი და დიდად ადიდა დედის ძმად თვისი მუჰმედ და სჯული მისი გამარჯუებისა მისთვის.

III. ხოლო ვითარცა დაიბანაკეს, დაჯდა საყდართა ზედა და უბრძანა მოყვანებად წმიდისა დავითისი და წმიდისა კოსტანტინესი. და წარადგინნეს ჯელით შეკრულნი წინაშე უსჯულოდსა მის. ხოლო იგინი, ვითარცა იხილნა წინაშე მდგომარენი, ფრიად განიცინა მურვან ყრუმან და ჰრქუა: ”ვინანი ხართ თქუენ ქვათა და ძელთა მსახურნო, რომელთა იკადრეთ წინაგანწყობად ჩემი? ანუ არა იცითა, ვითარმედ დიდისა მოციქულისა მუჰმედის დისწული ვარ, რომლისა სჯულსა ჰმონებს ყოველი არაბეთი და სპარსეთი, და დამიმორჩილებია ყოველი ქუეყანად დასავლეთითგან ვიდრე აღმოსავლეთამდე?”

მიუგეს და ჰრქუეს წმიდათა მათ, ვითარმედ: ”სიცილი და ქადილი შენი ცუდ და ამო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთ ჟამ არს დიდებად შენი და

ადრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისა შენისათჳს იქმნა ძლევად შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენტათჳს, რომელ გარდავჰყედით მცნებათა ღმრთისასა; იქმნა ფლობად თქუენი ჩუენ ზედა, რათა გუწუართნეს ღმერთმან ჳელითა თქუენ უსჯულოთა და უღმრთოთაჲთა. ხოლო დედის ძმისა შენისა მუჰმედისი, რომლისა მიერ იქადი, ცუდ არს მისსა მიმართ სიქადული თქუენი, რამეთუ, ვითარცა უწყებულ არს ჩუენდა, მაცდურ და წარმწყმედელ იყო ნათესავის[ა] თქუენისა”. ხოლო ვითარცა ესე მძლავრსა მას წმიდათა მათგან, განრისხნა ფრიად და უბრძანა წინაშემდგომელთა მტარვალთა ცემაჲ პირთა მათთაჲ და გუემაჲ არგნებითა; ხოლო მათ ყვეს ბრძანებაჲ მძლავრისაჲ და სცეს პირთა მათთა, ვიდრელა დაშურეს, და ქუეყანად დააკუეთნეს წმიდანი იგი; ხოლო იგინი ძლიერად მოითმენდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და შემწედ თჳსად ხადოდეს. მაშინ ჰრქუა მათ მძლავრმან რისხვთ და გულისწყრომით, ვითარმედ: “ჰ ესე ვითარნო, პირველად მოსრენით წინამბრძოლნი და რჩეულნი ლაშქარნი ჩემნი და აწ ურცხვნოდ აგინებთ დიდებულსა და სახელგანთქმულსა მოციქულსა მუჰმადს, დედის ძმასა ჩემსა, რომელსა ადიდებს ყოველი არაბეთი და სპარსეთი”. ესე თქუა და მერმე ლიქნით ჰმოგუნდა მათ და ჰრქუა წმიდასა დავითს, ვითარმედ: ”მასმიეს შენტჳს სჰადჰეტთა ჩემთაგან, ვითარმედ კაცი ხარ გონიერი და წყობათა შინა გამოცდილი, და თავი ამის ქუეყანისა, აწ ისმინე ჩემი, კეთილ-განმზრახისა შენისაჲ, და დაუტევე ცუდი და ამაოდ სიტყუად სიცოფისა თქუენისაჲ და დაემორჩილენით სჯულსა რჩეულისა მუჰმად მოციქულისა დედის ძმისა ჩემისასა და გყვნე თქუენ მთავარ და დიდებულ ყოველსა სპარსეთსა და არაბეთსა ზედა. რამეთუ-გყო შენ სჰასალარ და წინამძღუარ ყოველსავე ზედა ლაშქარსა ჩემსა, ხოლო ყრმასა მაგას, თჳსსა შენსა, მივსცე პატივი, რათა სამარადისოდ დგეს წინაშე საყდართა ჩემთა პალატსა შინა ჩემსა, და იშუებდეს სხუათა თანა დიდებულთა პალატისა ჩემისათა”. და ვითარცა ესე თქუა მძლავრმან წმიდათა მიმართ, წმიდამან დავით გამოისახა სახე ჯუარისაჲ პირსა თჳსსა და თქუა: ”ნუ იყოფინ ესე ჩუენდა მიუკუნისამდე, ჰ მძლავრო

ბოროტო, რათამცა დაუტევით ნათელი და შეუდევით ბნელსა! რამეთუ ღმერთმან ჩუენმან მოგვწოდნა ჩუენ ნათელსა მისსა, რაჟამს ძე თვისი სიტყუად და თანასწორი მისი მოავლინა ქუეყანად და კაც იქმნა ჩუენთვის და ყოველივე განგებულებად თავს იდვა: ჯუარცუმად, დაფლვად და აღდგომად, და კუალად ამალდა მამისა, და იგივე მოსლვად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა. ხოლო წარავლინნა მოწაფენი თვისნი ყოველსა ქუეყანასა ქადაგებად სახელისა მისისა და მოქცევად კერპთა მონებისაგან. ხოლო მოიწინეს ორნი თავთა მოწაფეთა მისთაგანნი ქუეყანასა ჩუენსა და უქადაგეს მოსლვად ქრისტესი ქუეყანად და მოაქცინეს კერპთა მონებისაგან. და ჩუენ მათ მიერ განსწავლულ და განათლებულ ვართ და არა ვჰმონებთ სხუასა სჯულსა ცუდსა და მოპოვნებულსა, არამედ მზა ვართ სახელისათვის ქრისტესისა ყოველსავე გუემასა და ტანჯვასა, ცეცხლსა, წყალსა და მახვლსა და სიკუდილსა. ესე არს სარწმუნოებად ჩუენი, ჭემმარიტი ქრისტეანობად, ისმინეთ ყოველმან გუნდმან სპარსთა და არაბთამან”.

ჰრქუა მას მძლავრმან, ვითარმედ: ”კეთილისა სწავლისა და განზრახვისათვის ბოროტი და უგუნური მოგვიგეა პასუხი? რამეთუ ქრისტესთვის წერილ არს კურანსა ჩუენსა, რომელ არს ისე, რამეთუ წინაღსწარმეტყუელი იყო და კაცი მართალი, ძე მარიამისი და იტყოდა თავსა თვისსა ძედ ღმრთისად, ამისთვის მოკლეს ჰურიათა ძელითა. ხოლო რომელ დიდისა მუჰმადისთვის იკადრებთ გმობასა, უგუნურებით იტყვთ ამას, რამეთუ სპარსნი და არაბნი მან მოაქცინა ცეცხლისა მსახურებისაგან, და ღმერთსა შეაწყნარნა, რამეთუ ერთ არს ღმერთი”. მიუგო წმიდამან დავით და ჰრქუა მათ: ”წიგნი თქუენი, რომელ არს კურანი, არა სარწმუნოდ გიპყრიეს თქუენ, რამეთუ წერილ არს კურანსა თქუენსა თქუენთვის, ვითარმედ, რაჟამს სცთეთ ქრისტეს სახარებასა ისეს წიგნსა, რომელ მისცა თვისთა მოწაფეთა, მის წიგნისაგან ისწავეთ. ესე ალი მუჰმადის გულითადმან მოწაფემან დაგიწერა თქუენ, არამედ თქუენ უგულისხმონი ხართ და არა იცით წიგნისად და არცა ძალი ღმრთისად, რამეთუ მუჰმად დაღაცათუ ცეცხლის-მსახურებისაგან



მოგაქცინა, არამედ ღმერთსა ვერ შეგამეცნიერნა, მსგავსად ნავ-  
დანთქმულისა მის, რომელ დაღაცათუ გულსა ზღვისასა არა დაინთქას,  
არამედ ზღვს პირსა მიწევნილი დაინთქას, არად სარგებელ არს,  
ვინაფთვან ჳმელად ვერ მიიწია. ეგრეთვე თქუნ, ვინაფთვან ქრისტე მე  
ღმრთისად, რომელსა წინაღსწარმეტყუელნი პირველითვან იტყოდეს  
მოსლვასა მისსა, და მამათ-მთავარნი ქადაგებდეს, იგი ვერ იცნა მუჳმად  
და არცა თქუნ შეგამეცნიერნა, წარსწყმდით და ცთომილებასა შინა ხართ  
დიდსა უგულისჳმოებითა თქუენითა”. ჳრქუა მას მძლავრმან: ”და ვინ  
გასწავა შენ წიგნთავან ჩუენთა, არა ღირსო ცხორებისაო?” ჳრქუა მას  
წმიდამან დავით: ”წიგნნი თქუენნი არად საჳმარ არიან ჩემდა, არამედ ესე  
ვთქუ სამხილებელად თქუენდა”.მერმე მიიქცა მძლავრი იგი წმიდისა  
კოსტანტინეს მიმართ და თქუა, ვითარმედ: ”შენ ყრმაო, რასა იტყვ თავისა  
შენისათვს, მორჩილ ხარა ბრძანებასა ჩუენსა ანუ არა?” ხოლო წმიდამან  
აღმოუტევა ჳმად, დამამჳობელი მისი, და ჳრქუა მას, ვითარმედ: ”ნუ  
იყოფინ ჩემდა მორჩილებად ბრძანებისა შენისად, არამედ ვითარცა წამა და  
აღიარა უფალმან ჩემმან დავით, და მეცა ვწამებ და აღვიარებ, რამეთუ  
ერთსა სჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა განსწავლულ ვართ და  
მრწამს მამად და ძედ და სული წმიდად და მისთვს მოგვუდები”.მაშინ  
განრისხნა უსჯულოდ იგი მათ ზედა და მოუწოდა მტარვალთა ვიეთმე  
უწყალოთა და უკეთურთა და მისცნა წმიდანი იგი ჳელთა მათთა და  
ამცნო, რათა ათ დღემდე არა ახილონ გემოდ არცა პურისად, არცა წყლისად  
და ყოველთა დღეთა სტანჳვიდენ მრავალფერთა ტანჳვითა  
უსუენებელად, რათა ჳირითა მით და ტანჳვითა უნებლიეთ აღიარონ  
სჯული მუჳმადისი. ხოლო წმიდათა მათ ლოცვითა და მარხვითა  
ღმრთისა მიმართ თავს ისხნეს ჳირნი იგი, სიყმილი და წყურვილი და  
გუემანი და ტანჳვანი და ჳუედნანი და ბასრობანი სიყუარულისათვს  
ქრისტეს ღმრთისა.ხოლო ვითარცა გარდაჳდეს ათნი იგი დღენი,  
მოუწოდა უღმრთომან მურვან ყრუმან მოგუთა და მისანთა  
სჳარსეთისათა და წარავლინნა წმიდათა მოწამეთა

მიმართ, რათა ლიქნით ჳმოგუნიდენ წმიდათა მათ მოქცევისათვს

სჯულსა მათსა. ხოლო ვითარცა წარვიდეს და იხილნეს წმიდანი იგი განლელნი და დამქნარნი ჯორცთა მათთაგან ტანჯვათა მათგან, რომელ თავს ესხნეს მტარვალთა მათგან, განრისხნეს განზრახვით მტარვალთა მათთვს, ვითარმედ: ”ჟ ესე ვითარნო, რად გიკადრებია, ანუ რად ესრეთ შეურაცხ გიყოფიან კაცნი ესე დიდებულნი და ქუელნი ბრძოლათა შინა, ანუ არა უწყითა, რამეთუ ღალადისსა სპარსთასა, დიდსა ამირა მუმლსა მურვანს, ფრიად სწადიან ამათი შუებად და ფუფუნებად?” მერმე მიექცეს წმიდათა და ჰრქუეს მათ ლიქნით, ვითარმედ: ”ყოვლისა სპარსეთისა და არაბეთისა ღალადისსა მურვანს მოუვლენივართ თქუენ თანა, ვითარმედ ვიცი გონიერებად თქუენი, რამეთუ დროებასა ამას შინა განგიზრახავს უმჯობესი თქუენთვს. აწ მომიგეთ სიტყუად ჯეროანი და ნუ ცუდად გაქუს სასოებად კაცისა მიმართ დასჯილისა და მოკლულისა, და ნუ წარსწყმედთ სიჭაბუკესა თქუენსა უჟამოდ მწართა და ძვრ-ძვრითა სიკუდილითა, არამედ აღირჩიეთ უმჯობესი და შეიწყალენით თავნი თქუენნი და მოიქეცით სჯულსა მუჰმად რჩეულისა მოციქულისასა, რათა იშუებდეთ ჩუენ თანა, რამეთუ მეცა მეწყალის სიჭაბუკე თქუენი და სიმჴნე და განგაზრახებ უმჯობესსა. ამას გიბრძანებს დიდი ამირა მუმლი სპარსეთისა და არაბეთისა, ხოლო ჩუენ, ჟ ჴაბუკნო შუენიერნო და ახოანნო, ამას გეტყვთ, რათა დაემორჩილნეთ ბრძანებასა დიდისა და მაღლისა მთავრისასა, რამეთუ აჰა ესერა მოუცემიან დროშანი და შესამოსელნი მთავრობისა თქუენისანი”. და უჩუენებდეს წმიდათა მათ ნიჴთა დიდთა და საბოძვართა სამეფოთა და ლიქნიდეს წმიდათა მათ ლიქნითა მრავალ-ფერთა. მაშინ მიხედეს წმიდათა მათ მათდა მიმართ და ჰრქუეს მათ: ”ვინაფთგან უგუნურნი ხართ და უგუნურებისა მეტყუელნი და მოციქულნი ყრუდსა და მზაკუვარისანი, ამისთვს არა განვაგრძელებთ სიტყუასა ჩუენსა თქუენდა მიმართ, არამედ ამას ხოლო ვიტყვთ, ვითარმედ, ვითარცა იგი პირველ აღვიარეთ სარწმუნოებად ჩუენი ჴემმარიტი და ვწამეთ, მას ზედა მტკიცედ და უქცეველ ვართ და ვერარამან ჴირმან და არცა დიდებამან ამის საწუთოდსამან ვერ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა და სარწმუნოებასა იესუ ქრისტესსა,

არამედ მზა ვართ სახელისა მისისათვის შიმშილსა და წყურთსა, ცეცხლსა და მახვლსა და წყალსა, და ამის ყოვლისა შემდგომად სიკუდილსა საუფვეელისათვის ცათადასა. და რამეთუ ნიჭი და დიდებად თქუენ მიერ მონიჭებული საძულელ და საძაგელ არიან წინაშე თუალთა ჩუენთა; ხოლო სასოებად ჩუენი და დიდებად ქრისტე არს, და სიკუდილი სახელისა მისისათვის საწადელ წარვედით და უთხართ ესე ყოველი მომავლინებელსა თქუენსა მაცთურსა და მზაკუვარსა”.ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე წმიდათა მათგან, წარვიდეს სირცხვლეულნი და უთხრეს ესე ყოველი ყრუსა მურვანს და ჰრქუეს ესეცა, ვითარმედ: ”არა გუაქუს სასოებად კაცთა მათგან, რამეთუ არა ეშინიან არცა ტანჯვათაგან,არცა სიკუდილისაგან, არამედ მტკიცე არიან სარწმუნოებასა მათსა ზედა”. ხოლო ვითარცა ესმა ესე უსჯულოსა მას მძლავრსა, წარიკუეთა მათგან სასოებად და გულისწყრომითა დიდითა განაჩინა წმიდათა მათთვის სიკუდილი, სახე ესე ვითარი: რამეთუ განაჩინა მტარვალნი უკეთურნი და უწყალონი, რათა პირველად ტანჯნენ გუემითა უწყალოდთა, ზეკიდებითა თავდამოქცევით, და მერმე შეუკრნენ ჳელნი და ფერწნი და ქედთა მათთა დაჰკრნენ ლოდნი მძიმენი და ესრეთ შთაყარნენ იგინი მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი.

IV. ესე განაჩინა მძლავრმან წმიდათა მათთვის და თვთ აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხან-ქუჯისასა, ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჳყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა ”მუხა დიდი”, და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე, და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი და ალაოკრნა და უვალ და უკაცურ-ყო ქუეყანად მეგრელთა და აფხაზეთად.ხოლო ეწია მუნ რისხვად ღმრთისად ერსა და ბანაკსა და ეტლებსა მისსა ზედა, რამეთუ აბაშთა ნათესავი იყო დაბანაკებულ მდინარესა მას ზედა, რომელსა აწ ჰრქვან აბაშად, ხოლო ჰუნები და ეტლები მდინარისა კიდესა, რომელსა აწ ჰრქვან ცხენისწყალი. და იქმნნეს სასწაულნი ზეგარდამო: ქუხილნი და ელვანი, სეტყუად და წვმანი მძაფრნი და სასტიკნი, და განალო პირი ქუეყანამან და აღმოაცენნა

სიმრავლენი წყალთან და ზღუა იქმნა ქუეყანად ჳმელი. და განაგდო მდინარემან აბაშაძსამან საზღვარი თვისი და მოექცა ნათესავსა ზედა აბაშთასა და წარირლუნა ყოველი ნათესავი აბაშთად და მიერთგან დაიდვა სახელი მდინარისა მის აბაშად. ხოლო მდინარე ცხენისწყლისად მოექცა ეტლებსა და ჳუნებსა მათსა ზედა და წარირლუნა ყოველივე, აღვიდა რიცხვ მათი ოთხ ბევრადმდე და დაედვა მდინარესა მას [სახელი] ცხენისწყალი.

და ვითარცა იხილა ესე ყოველი მურვან ყრუმან მოწევნული მის ზედა, ფრიად აბრალა თავსა თვისსა და განმზრახთა მისთა, იწროსა და მალნარსა ამას ქუეყანასა მოსლვისათვს, და აღიძრა და დაიბანაკა პიტოტას, ზღვს პირსა ქალაქსა, რომელსა ჳრქვან ცხუმი.ხოლო იყვნეს მაშინ შვილნი დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისანი არჩილ [და] დარჩილ ციხესა მას, რომელსა ჳრქვან ანაკოფიად, რამეთუ შე[ვ]ლტოლვილ იყვნეს იგინი შიშისა მისთვს სპარსთაძსა. ხოლო გამოვიდეს ერთთა მცირითა ბრძოლად წარმართთა და იძლინეს მათგან, რამეთუ მოკლეს ძმად უხუცესი არჩილ, ხოლო დარჩილ შევიდა ციხესავე ანაკოფიას.ხოლო აღიძრა მიერცა უღმრთოდ მურვან ყრუდ და ჩაიარა ზღვს პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღვს პირისანი და ოკერ და უვალ-ყო ყოველი ქუეყანად ზღვს პირისად, ვიდრემდის მიიწია ქალაქსა მას ღმრთივ- დაცვულსა, რომელ არს კოსტანტინეპოლე, და დაიბანაკა ქალაქსა, რომელსა ხალკიდონ ჳრქვან, რამეთუ არს მუნ ზღუად იწროდ წარმდინარე, და არა აქუს ტანი სიფართისად.ამისთვს განიზრახა უგუნურმან და უგონებომან ყრუმან, რათა ქვითა აღმოავსოს ზღუად და სავალ-ყოს, რადთა ფრწივ განიყვანოს ერი თვისი ზღუასა ზედა და ესრეთ გამოიღოს ქალაქი კოსტანტინეპოლე, არამედ ღმერთმან საკვრველებათამან ცუდ-ყო განზრახვად მისი, ვითარცა აქიტობელისი, და მყის ეწია რისხვად ღმრთისად, რამეთუ დაწვა მწუხრი მრთელი და განთიად იპოვა მკუდარი მოძაგებული და დავიწყებული ყოველთა მიერ. და ვითარცა იხილეს ესე სპათა მისთა, განიბნინეს და ლტოლვილნი წარვიდეს ქუეყანად თვისად.

V. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ და ვიტყოდით წმიდათა

მათთვის, რომელთათვის იყო სიტყუა ჩუენი.

რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, მიიყვანნეს წმიდანი იგი ადგილსა მას, რომელსა განეჩინა მძლავრსა, მდინარესა, ტბასა მას ზედა, რომელსაცა შწნ არს ტაძარი წმიდათა კოხმან და დამიანესი. სიტყუსა მისებრ მძლავრისა განაშიშულნეს იგინი და დაჰკიდნეს თავ-დამართ და გუემნეს გუემითა უწყალოდთა არგნებითა მძიმებითა. მერმე ჩამოჰკსნნეს, შეუკრნეს ჳელნი და ფერჳნი მათნი და ლოდები მძიმები დაჰკრეს ქედთა მათთა.

ხოლო წმიდათა მათ ითხოეს დროდ და აღიხილნეს თუალნი მათნი ზეცად მიმართ, რამეთუ ვერ ეძლო ცად ახილვად, არცაღა მოდრეკად მუჳლთა სიმძიმისა მისგან ლოდთადასა, არამედ გულითა მჳურვალითა ჳმა-ყვეს ღმრთისა მიმართ და თქუეს, ვითარმედ: ”ჴ უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისა მამისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს გუყვენენ წამებასა სახელისა შენისათჳს წმიდისა, აწცა შეისმინენ ვედრებანი და თხოვანი ჩუენ მონათა შენთანი. და ვითარცა დავიმარხენით ჳორცნი ჩუენნი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისათჳს შენისა წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩუენისა დაჰმარხენ გუამნი ჩუენნი განუხრწნელად და დაურღუეველად, და რომელთა ხადონ სახელითა ჩუენითა სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ეწიენ წყალობად შენი და მიეც შენდობად ბრალთადა და ყვენ ასონი ჳორცთა ჩუენთანი მჳურნალ ყოველთა სენთა და უძღურებათა, დიდებად ყოვლად საგალობელისა სახელისა შენისა”. ამისა შემდგომად დაიბეჳდნეს გუამნი მათნი ბეჳდითა ცხოველს- მყოფელისა ჳუარისადათა და თქუეს: ”უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, ჳელთა შენთა შევჳვედრებთ სულთა ჩუენთა, ამინ”. მაშინ მოვიდა ჳმად ზეცით, აღმასრულებელი თხოვათა მათთადა სასმენელად ყოველთა, და შთაყარნეს მტარვალთა მათ წმიდანი იგი ტბასა მას და თჳთ ივლტოდეს შეშინებულნი ჳმისა მისგან წმიდათა მათთვის მოწამეთა, რომელი ისმოდა ზეცით.

VI. ხოლო იქმნა მას ღამესა სასწაული საშინელი და სასმენელად

საზარელი, რამეთუ შთამოდგეს ზეცით სამნი სუეტნი ნათლისანი ტბასა მას ზედა ფრიად ბრწყინვალენი, რამეთუ ღამესა მას უკუნსა განათლდეს ველნი და ტყენი ბრწყინვალეებისა მისგან, რომელნი გამოჰკრთებოდეს სუეტთა მათგან ნათლისათა და განიქსნნეს საკრველნი ჰელთა და ფერჯთაგან წმიდათადასა და მოემარცუნეს ლოდნი იგი ქედთა მათთაგან, და იტვრთნა ბეჭთა თვსთა ზედა უსულომან მან ტბამან, ვითარცა სულიერმან გუამნი იგი წმიდათა მოწამეთანი, და ბრწყინვიდეს წყალთა მათ შინა, ვითარცა მთიებნი განთიადისანი. მაშინ განგებითა ღმრთისადათა ორნი ვინმე წმიდათა მოწამეთა მონათაგანნი, რომელნი შეპყრობილ იქმნნეს წარმართთაგან წმიდათავე მათ თანა, რომელნიცა თანადახუდეს ყოველსავე ტანჯვასა და სიტყვს-გებასა მძლავრისა მიმართ, ესენი განრომილ იყვნეს წარსლვასა ზედა წარმართთასა და დამალულტყეთა. ხოლო იყვნეს შემოსილ სამოსლითა აგარიანთადათა. ვითარცა იხილნეს სასწაულნი იგი საკრველნი, სუეტნი ცეცხლისანი და ბრწყინვალეობა იგი ნათლისაჲ ტბასა მას ზედა, განჰკრთეს და კადნიერ იქმნნეს, და მივიდეს წყალთა მათ ზედა და იხილნეს წმიდანნი იგი გუამნი მოწამეთანი ბეჭთა ზედა წყალთასა, რომელნი ნათობდეს, ვითარცა მზის-თუალნი. მაშინ იცნნეს იგინი და სიხარულისა და წუხილისაგან განკრთომილნი ხედვიდეს წმიდათა მათ. მაშინ ორნი ვინმე სხუანი კუალად გამოვიდეს ტყით დამალულნი, რომელნი განრომილ იყვნეს აგარიანთაგან ერისაგანვე წმიდათადასა. და ვითარცა იხილეს მათცა ნათელი იგი, გამოვიდეს იგინიცა ნათელსა მას, რომელი გამოჰკრთებოდა სუეტთა მათგან ნათლისათა.

ხოლო ვითრცა იხილნეს მოყუასნი მათნი სამოსლითა აგარიანთადათა, განჰკრთეს, რამეთუ ვერ იცნნეს, ჰგონებდეს, ვითარმედ წარმართთაგანნი არიან და ივლტოდეს. ხოლო მათ ჯმა-ყვეს, რამეთუ იცნნეს იგინი და ჰრქუეს მათ, ვითარმედ: ”ნუ შეშინდებით, რამეთუ არა ვართ მტერნი, არამედ ძმანი თქუენნი; აწ მოვედით და იხილენით უფალნი ჩუენნი დავით და კოსტანტინე, რამეთუ იწამნეს ქრისტესთვს, და ჩუენგან გეუწყოს ყოველივე”. ხოლო მათ განიშორეს შიში და მოვიდეს და მიერ

იცნნეს იგინი და მოიკითხნეს ურთიერთას და აუწყეს მათ ყოველივე, რადცა იქმნა წმიდათა მათთვის ტბასა მას შინა. ხოლო განიზრახეს წმიდათა მათთვის გუამთა მათთასა, ვითარმედ რად ჯერ არს ყოფად. არამედ ეჰა ძლიერებად კაცთმოყუარისა ღმრთისაჲ, რამეთუ ესმა ჳმად სუეტით გამო ცეცხლისაჲთ, ვითარმედ: ”აღიქუენით გუამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყვანენით ტყით კერძო აღმოსავალით და სადა-იგი გთნდესთ, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანებაჲ უფლისა ღმრთისაჲ, რათა გებისა თანა არსთასა იყვნენ მუნ გებულცა გუამნი წმიდათა მოწამეთანი”. ხოლო ვითარცა იყო ჳმად ესე მათდა მიმართ, მაშინ იყვნეს გუამნი წმიდათანი შუაგულსა ზედა ტბისასა, ვითარცა აღტვრთულნი, არამედ მყის იპოვნეს კიდესა თანა ტბისასა ხერთვსსა ზედა მდებარენი. მაშინ განკვრდეს კაცი იგი და აღიდებდეს ღმერთსა და მიეახლნეს შიშით და ძრწოლით და აღიხუნეს წმიდანი გუამნი მათნი და წარმოემართნეს. და ვითარცა განთენდა, იპოვნეს ნებითა ღმრთისაჲთა თავსა ზედა კლდისასა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან წყალწითელ. რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ერ-მრავალ, ხოლო ყრუსა მურვანსა გამოელო და აეოჭრა და დაეწუა და იყო უკაცურ და დარღუეულ ეკლესიაჲ. ხოლო ქუეშე კერძო ეკლესიისა აკლდამა იყო შენ და უვნებელ, და არავინ იყო მკუდართაგანი მუნ შინა მდებარე და მას შინა დაკრძალნეს გუამნი წმიდათა მოწამეთანი. ხოლო იყო უჩინო და დაფარულ ვიდრე დღეთამდე დიდისა ჳელმწიფისა ბაგრატისამდე, და აღიძრა სულისა მიერ წმიდისა და აღაშენა ადგილი იგი მონასტრად უდაბნოებისა და მყუდროებისათვის მის ადგილისა, და აღუშენა საწამებელი წმიდათა მათთვის მოწამეთა, ტაძარი შუენიერი, და ცხადად საანჯმნო ყვნა გუამნი იგი წმიდათა მოწამეთანი, და დაასუენა მის მიერ აღშენებულსა მას ტაძარსა შინა კუბოთა შუენიერითა. და არიან მას შინა მდებარე გუამნი წმიდათა მოწამეთანი დავით და კოსტანტინესნი განუხრწნელნი და უვნებელნი და ყოვლად გებულნი, ვითარცა ესე თვთ მათ ითხოვეს ღმრთისაგან. და ჰკურნებენ ყოველთა ვნებულთა, რომელნი სარწმუნოებით მოვლენან

ტაძრად მათდა, რამეთუ მიიღებენ კურნებასა სულთა და ჳორცთა მათთასა. ხოლო იწამნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კოსტანტინე დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ორას ორმოცდა ცხრასა, ხოლო ქრისტეს ჯუარცუმითგან შუდას ოცდა ათსა, მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისავროდსა ხატთა მბრძოლისასა, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლისა შვილთასა, ხოლო ჩუენ ზედა მეუფებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომლისაჲ არს სუფევად და დიდებაჲ თანა მამით და ცხოველს- მყოფელით სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.